რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ. იგ. მუხრანსკის სახლებ-ში ყლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., ... ზე შაური.
თუ განცხადება მეოთხედ ... და შემოკლებით დაბეჭდილ გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

**ხელმწიფის დაბადების დღესასწაულის გამო ხვალ გაზეთი არ გამოვა.**

შაბათს, 27 თებერვალს
1882 წელსა
არწრუნის თეატრში
**თ. რ. ერისთავი**
წაიკითხავს
ლექციას ქართულს ენაზედ,
ქართულის ენის დაარსებასა და წარმატებაზედ.

მხოლოდ 500-ლა დარჩა.
რადგანაც მაშინკებიც მელევა და სამზღვარ გარეთაც ვემგზავრები, ახალი ამერიკული მაშინა
**პატაშკ**
გაისყიდება მხოლოდ კვირამდის, 28 თებერვალსა დაკლებულის ფასით
თითო 75 კაპ.
ვინც ახს იყიდის დაეთმობა ბევრი. მაღაზია არის გალავინის პროსპ. გ. გელოვის სახლებში ქელბერის პირდა-პირ.

## ტელეგრამმა

(„ხალხთაშორის ტელეგრაფის სააგენტოს.")

**პეტერბურღი**, 24 თებერვალს. საგლეხო ბანკის საქმე გარდაეცა განსახილველად იმ კომიტეტს, რომელიც საკუთრივ გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არის დანიშნული.

## ქუთაისის სატუსაღოზედ

ტფილისი, 25 თებერვალს.

შარშან წინ ჩვენს გაზეთში რამდენიმე შენიშვნა იყო დაბეჭდილი ქუთაისის სატუსაღოს ცუდს მდგომარეობაზედ და იმ ტანჯვასა და ყოველ გვარ ნაკლულევანებაზედ, რომელსაც ითმენდნენ იქ დამწყვდეული ტუსაღები. საძაგელი, ნოტიო, უბუხრო ოთახებიაო, ტუსაღებს კანონით დადებულზე ნაკლებ პურსა და ხორცს აძლევენო და რასაც აძლევენ, ისიც საძაგელია, ძველი, აყროლებული, ქიანიო და სხვ. და სხვ.

როგორც ჩვენი კორრესპონდენტი გვწერდა, მთავრობას მიექცია მაშინ ყურადღება ამ შენიშვნებისათვის და ცოტათი გაეუმჯობესებინათ ტუსაღების მდგომარეობა.

ორმა წელიწადმა განვლო მას აქედ და, როგორც ქვემო-მოყვანილის წერილიდამ შეიტყობთ, დღეს ამ სატუსალოში ისევ ძველებურად მიდის საქმე, ისევ საძაგლად ინახვენ ტუსაღებს, ისევ ძალლებივით ეპყრობიან იმათა, ისევ საძაგელ საჭმელ-სასმელს აძლევენ, სცემენ და სხვ.

მაგრამ წაიკითხეთ თვით ეს წერილი და შეიტყობთ—თუ რა მდგომარეობაში ყოფილან ქუთაისის სატუსაღოს უბედური მცხოვრებნი:

ბატონო რედაქტორო!

„ღმერთმა ისე თქვენი მტერი შეაწუხოს, როგორც ჩვენ უკანასკნელ დღეში ვართ შეწუხებული. მგონია, არც ხოსროვშირ-ბულჩინ და მათი ამხანაგები იყვნენ დატანჯული შალანგასარ-ჯადოს საპყრობილეში, როგორც ჩვენ აქ ვიტანჯებით; იმათ მაინც თითო ლიტრა ხორცი ეძლეოდათ საჭმელად და ჩვენ რომ ხორცს გვაძლევენ, იმაზედ ჩანგალიც კბილს ვერ მოიკიდებს, ასე რომ ზაფხულობით გვეშინია ბუზებმა არ წაგვართვას და თუ წაავლო პირი, წილება კი არ გაუჭირდებათ...

„სუფად ლომის სუფს გვიკეთებდნენ აქამდინ და ეხლა, მადლობა ღმერთს, ბრინჯის გვიკეთდება, მაგრამ ვაი ამისთანა სუფს! სოფელში რომ ლომს ან სისხლიან ხორცს გარეცხენ, იმ ნარეცხის ფერი და გემო აქვს. ნელ-თბილს რომ მოგვიტანენ დიდი ბოქკით, ხშირად თითო მტკაველ ჯიხის ნატეხს და ტილოს ნახევს ვპოულობთ და კენჭების, მატლების და ამისთანა წვრილების ანგარიშს ვინ იტყვის.

„პურს უწინ გვაძლევდენ მეორე სორტისას და ეხლა მესამე სორტის პური შემოგვაპარეს. როდესაც ფურნიდან წამოიღებენ, ჩაყრიან ტაჩკაში, თავზედ არაფერს დაათარებენ, გზაში, სანამ საპატიმროში მოტანენ, აწვიმს, ათოვლს, ხშირად გადაუვარდებათ ტაჩკიდან და ტალახში დაისვრება, წამოიღებენ და გვაძლევენ; თუ მიზეზი უთხარით, რომ პური რატომ არის დასვრილი ტალახშიო, ვაი ჩვენი ბრალი: რამდენი ჩვენ კისერში მოგვიხდება პურის დამრიგებლებისაგან, იმდენი ილოცხლეთ. ამის გამო ვართ გაჩუმებულნი.

„შერი არა გვაქვს კაცისა; ხშირად აგვიტყდება მუცლის ტკივილი და გასაკვირველიც არ არის ამისთანა საჭმელებისაგან... გარეთ არავინ გაგვიშვებს თუ ფული არ მივეცით, და ფულით ხომ ყველაფერი ადვილია. მოაწევს სალამო, გვეღირსება კარის გაღება, გავრბივართ, ერთი მეორეს ვასწრებთ... თუ ცოტა დაიგვიანეთ, სალდათები თოფის კონდახებით გვცემენ.

„რა ვქნათ, ვისთან ვიჩივლოთ? უარაულის აფიცრები, აქ ორი ქალია დატუსაღებული, იმათ კარებთან არიან აბუძგული... ამათ ეარშიყებიან და ჩვენთვის აღარ სცალიათ... და თუ დავუწყეთ ყვირილი და აფიცერი მოვიხმეთ, მოვა, მაგრამ ვაი იმისთანა მოსვლას! ჩვენვე დაგვიწყებენ გინებას, ხშირადაც იმოდენა ნებასაც მისცემს თავის-თავს, რომ სილასაც გაარტყამს ტუსაღს. ზოგიერთ ოთახში ოცი, ოც-და-ხუთი კაცი ვართ და

---

„დროების" ფელეტონი, 25 თებერვ.

### გასათხოვარს.

მე მომწონს, ქალო, შენი შვენება,
ლამაზი სახე და ტურფა ტანი,
შავთ თვალებისა მლახვრელი ვნება,
ჰაგლუცი ქცევა, მშვიდობიანი

—

მე მომწონს წითელ ტუჩებთ ღიმილი
ბუგებარის იდუმლობითა,
მე მომწონს, მათ ქვეშ, ბროლნი წყობილი
თითქო გათლილი ხელოვნობითა

—

მომწონს წარბების ამაყი ხაზი
და ზედ ბეჭედი თვით-უფლებისა,
სუფთა ნესტოებთ გაფეთქვა ნაზი
გამომსატველი სურვილებისა

—

მომწონს მღვედარის წელისა რხევა,
როს გამოდიხარ თამამ-თავხედი,
როს ყორნის თმები ბეჭზედ გეხვევა
და უხვად ღელავს მაღალი მკერდი...

—

მე მომწონს შენი: ხმა ლმობიერი,
ბასსი, ზნე და გონება მრთელი;
მე მომწონს ბოლოს, რადგაც იერი
ციური ნიჭი, გამოუთქმელი.

—

და შენ ესრეთი მოვლენა მვირი,
როს გათხოვდები, დედა გახდები.
დაცემულს მამულს აჩუქე გმირი,
მაშინ კი სწორედ შემიყვარდები..

—

და მიძღვენ ცრემლნი მახარობელად,
თუმცა ცოცხალი აღარ ვიქნები,
ბედნიერების გიცნობ მშობელად,
იქ ვიგრძნობ, იქაც გეთაყვანები...

17 თებ. 1882 წ. შონტოკსელი.

## საქართველოს ისტორიის მასალა და სურათები

### აჯანყება საქართველოში 1802 წელს.

(გაგრძელება *)

ამისთანა აღმაშფოთებელ გარემოებამ და მდგომარეობამ ძლიერ აალელვა ხალხი. უველას ერთი და იგივე სენი აწუხებდა; ყველა შევიწროებული და დაჩაგრული იყო მაშინდელ რუსეთის მმართებლობისაგან. საქმების გადაწყვეტილებაში მმართებლობა სრულებითაც მონაწილეობას არ იღებდა, აგრეთვე სამოქალაქო ჩინოვნიკები და უმფროსები ძლიერ ავიწროებდა ნამეტნავად დაბალ ხალხს... ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დიდი გავლენა იქონია ხალხზედ და თვითონ ტფილისშიაც-კი აალელვა ხალხი იმ ამბავმა, ვითომც ალექსანდრე—ბატონიშვილი და პირ-უულიხანი, იმერეთში მცხოვრებ ბატონიშვილების შემწეობით, ტფილისზედ დასაცემად ემზადებიანო...

ამისთანა ხმები ქსნიდამ ქიზიყიდამ ისმოდა. ხალხი, თითქოს სასო-წარკვეთილებაში და მგლოვიარებაში ჩავარდა იმ ხმების გამო, ვითომც რუსის ჯარი რუსეთისაკენ გაემგზავრა და ვახტანგ-ბატონიშვილს განზრახვა აქვსო-არ გაუშვას რუსის ჯარი სხვა დანარჩენ რუსის ჯარის გასამაგრებლად, რომელიც საქართველოში სდგასო.

ლაზარევმა როგორც საქართველოს მმართველმა, თავის მხრით ყოველგან სიმშვიდის აღსადგენად და ხალხის დასამშვიდებლად ყველა საშვალება და ზომები იხმარა:— ჯარის უმფროსებს, რომელნიც საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში იდგნენ, მაწერილობა გაუგზავნა, რომლებითაც უბრძანებდა—მცხოვრებლები დაემშვიდებინათ და ბოროტ-მომქმედ პირები კი სწორ გზაზედ დაეყენებინათ, ესე იგი რუსეთისაკენ მიექცდლებინათ; ის პირნი, რომლებიც ფიცს სტეხდენ, ყარაულ ქვეშ ტფილისში გამოეგზავნათ. ტფილისის მცხოვრებლების დასამშვიდებლად და წინააღმდეგეების დასამორჩილებლად, ამ სატახტო ქალაქში ერთი ბატალიონი რუსის ჯარი ჩამოიყვანა და ქალაქის შესავალ ალაგზედ დააბინავა.

დუშეთში, სადაც ვახტანგ-ბატონიშვილი იდგა, 50 კაცი ერთის აფიცრით გაგზავნა, რომელსაც თვალ-ყური უნდა ედევნებინა, რომ ვახტანგ-ბატონიშვილს თავისი ვანზრახვა სისრულეში არ მოეყვანა.

ამასთანავე ლაზარევმა განკარგულება მოახდინა, თუ ვინიცობაა მტერი კახეთს დაეცა, განდევნოს კახითითიდამ, რადგანაც იმ დროს კახეთი ყველა შფოთის ბუდედ ითვლებოდა.

24 ივლისს, ლაზარევმა გულიაკოვისაგან (რომელიც მაშინ თელავში იმყოფებოდა) მოხსენება მიიღო, რომელშიაც სწერდა: შევიტყე თუ

---

*) იხ. „დროება" № 26.

აქ რომ აფიცერი შემოდის და შემოკვრას ჰბედავს, ტუსაღიც კაცია, ყოველთვის გული ვერ მოუთმენს და შეიძლება საარაკო საქმე მოხდეს ამ ციხეში.

„როდესაც ვიჩივლეთ, ყოველთვის ისინი თავს იმართლებენ და ჩვენ უყურადღებოდ გვტოვებენ; ჰფიქრობენ, რომ რადგანაც ტუსაღები ვართ, დამნაშავეც უეჭველად ჩვენ უნდა ვიყვნეთ, და მართალსაც არ გვიჯერებენ.

„მუდამ საღამოს ლოგინს, ტანისამოსს და ყველაფერს გაგვიჩხრეკენ; თუ გაწყრა ღმერთი და თამბაქო გვინახეს, წაგვართმევენ, კიდევაც წაგვარტყამენ ორიოდეს კისერში, წაგვიყვანენ და ჩაგვაგდებენ ბნელ ოთახში (კარცერში); შვიდი დღის განმავლობაში მარტო პურისა და წყლის მეტს არას მოგვცემენ; პურსაც იმის ნახევარს, რაც გვეკუთვნის!

„ამისთანა გაჭირებაში მყოფნი, რაღა თქმა უნდა, ხშირად ავადაც ვხდებით, მაგრამ სანამ სიკვდილზე არ მივდგებით, დოქტორები არ მიგვიღებენ ჰოსპიტალში და თუ მიგვიღეს, აქაც იმისთანა საქმე გვემართება, როგორც ახლა აგიწერთ:

„ერთი მძიმე ავადმყოფი-ტუსაღი, რომელმაც რაღაც სათხოვარი ვერ შეუსრულა ექიმს, ამ ბატონმა ექიმმა საავადმყოფოიდან გამოწერა და რადგანაც ამ ტუსაღს ფეხები ჰქონდა წამხდარი და სიარული არ შეეძლო, ებრძანებია მოსამსახურეებისთვის, ამოდგომოდნენ ერთი მარჯვენით, მეორე მარცხნით მხრებში და მოეყვანეს საპატიმროში სმატრიტლის კანცელარიაში. სმატრიტელს ძლიერ გაუკვირდა ამისთანა მძიმე ავადმყოფის გამოწერა საავადმყოფოიდან, შემდეგ იმისა სმატრიტელმაც გაიგო რა მიზეზითაც გამოეწერათ... ამ ავადმყოფმა გააკეთა თხოვნა და გაუგზავნა მთავარ „დოქტორს, რომ ასე უსამართლოდ გვეპყრობა ექიმი $N$, და $N.$ $N.$ ქალიო (დაი-მოწყალებისა). ეს თხოვნა თვითონ სმატრიტელმა გაუგზავნა მთავარ დოქტორს (ბ. კუკუჯანოვს). შემდეგ ამისა სმოტრიტელმა ავადმყოფს ორი კაცი მისცა, ამოუყენა მხრებში და სალდათებს უბრძანა, ისევ ჰოსპიტალში წაიყვანეთო და თუ დოქტორმა არ მიიღოს, ნუ წამოიყვანთო, იქ დატოვეთო. სალდათებმა ეს ბრძანება აასრულეს: ავადმყოფი დატოვეს ჰოსპიტლის მისაღებ ოთახში. ეს ავადმყოფი დოქტორებს სამი დღე უწამლოდ შეენახათ და მეოთხე დღეს ისევ საპატიმროში გამოგზავნეს! დღესაც ავად არის, ფეხები აქვს წამხდარი... მთავარ დოქტორმა-კი ამისი თხოვნა უყურადღებოდ დააგდო!

„საპყრობილის ზედამხედველი (სმატრიტელი) ძლიერ ავი კაცი გვყავს, და ჩვენთვის კეთილი არც ამას დაუყრია: ჯოხით პარტყა-პურტყს ესეც მიჩვეულია, მართალს და მტყუანს ვერ სცნობს. ერთხელ აგრე უსამართლოდ ერთ პატარა ბიჭს დაუწყო ჯოხით ცემა (გურული, გვარად ბიორგაძე). ტყუილად არ არიან გურულები სიმარჯვეში ნაქები; ბიჭი სწრაფად ეტაკა, მარჯვენა ხელი დაუჭირა, უცებ ერთი თითი პირში ჩაიგდო და ლამის მთლად მოკვნიტა! გულ-შემოყრილი სმოტრიტელი თავის ოთახში გაიქცა და ბიჭი-კი კარცერში აღარ ჩააგდო და იმ დღეს შემდეგ ძალიან ეფერებოდა. „ვეფხის ტყაოსანშია“ ნათქვამი:

„არ დასხოცნა, დაიმონა, დარჩა მოდა რაცა წყლულსა,

„და მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა.“

„ახლა მეტს აღარ შევეხები სმოტრიტელს, თორემ მაგის კაი-კაცობა რო მოვყვე, არც ლონდონის დიდს გაზეთში დაეტევა, არ თუ ქართულ „დროებაში.“

„უმორჩილესად გთხოვ, ბატონო რედაქტორო, ადგილი მისცეთ ამ ჩემს ნაწერს თქვენს გაზეთში, იქნება უმაღლეს მთავრობამ უყურადღებოდ არ დააგდოს. მე კი მეღირსა ამ საპყრობილიდგან განთავისუფლება, მაგრამ ვინც ისევ იქ არიან, ისინი მებრალება და მათ მწუხარებას თქვენც მოგახსენებთ.“

მორჩილი.

განმარტება კი არ ეჭირება ამ წერილს, ეჭირება, ვისგანაც რიგია, ყურადღების მიქცევა, და, საზოგადოდ გაგება იმ ჭეშმარიტება, რომ ყოველი ტუსაღი ყველაზე უმალ უბედური კაცია და არა მხეცი, მაშასადამე მოპყრობაც ისეთი ეჭირება იმას, როგორც უბედურ ადამიანს, და არა როგორც მხეცსა.

## დღიური

გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ ახალი მთავარ-მმართებელი კავკასიისა თავ. დონდუკოვ-კორსაკოვი გუშინ, 24 თებერვალს, ნოვოროსიისკში მისულა, სადაც თითქმის მთელი ქალაქი მიეგებებია დიდის ამბითა. მთავარ-მმართებელი ორ დღეს დაჰყოფს აქა.

* * *

პატივცემულმა ბ. დ. ქართველიშვილმა ჩვენს „წერა-კითხ. საზოგადოებას“ გამოუგზავნა ამ დღეებში ოცი თუმანი შესაწევარი და თან წერილი, რომლიდამაც სჩანს, რომ ამ ოც თუმანში ათი თუმანი შეუწირვინებია იმას პავლე ბერიტიშვილისათვის, რომელსაც ერთი „[illegible] რომლიდგანაც [illegible] ჰქონდაო და რადგან ამისთვის ჩემი პატივისცემა უნდოდა, ეს ფული შევაწირვინე ხსენებულ „წერა-კითხვის საზოგადოების“ სახელობაზედაო“. მეორე ათი თუმანიც ამ გვარივე მიზეზით ბ. ქართველიშვილს შეუწირვინებია დავით. იაკ. მირიანოვისათვის.

* * *

ფოთი-ტფილისის რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ, რადგან ამ ჟამად რკინის გზის გაყოლებით თოვლი დნებაო და მიწა და ქვები სცვივა რელსებზე, ამის გამო ღამით რკინის გზის მატარებელი (პოეზდი) მგზავრებისა და საქონლისა აღარ ივლის მომავალ 15 აპრილამდინო. მხოლოდ ტფილისსა და ხაშურს შორის ივლის ისევ ძველებურად ეს ღამის მატარებელიო.

* * *

უკანასკნელს სხდომაზე ჩვენმა ქალაქის რჩევამ განიხილა და გადაწყვიტა შემდეგი საგნები: ქალაქის გამგეობას მიანდო შეადგინოს პროექტი იმის შესახებ—თუ რა მონაწილეობა მიიღოს ქ. ტფილისმა ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევის დღესასწაულში.—ამოირჩია კამისია, რომელმანაც თვალ-ყური უნდა ადევნოს საქალაქო სახლის აშენებას, ამ კომისიის წევრებად დანიშნა: ზალცმანი, თაიროვი, დობრჟანსკი და ალადათოვი.—დათანხმდა თფ. საცხენო რკინის გზის გამკეთებელის ბ. დრუჟევცკის წინადადებაზედ, რომ რელსების დასაწყობად, ხეების მაგიერად, რკინის შპალები დააწყონ.—მხატვარს ხუდაროვიჩს მიენდო 1,200 მანეთად გააკეთოს პატარა ძეგლი (ბიუსტი) იმპერატორის ალექსანდრე II-სა რჩი-

არა, ვინც იღებდნენ აჯანყებაში მონაწილეობას, დაატუსაღე, სახელდობ თ. სიმონ და დავით ყ..ბულიშვილი, იოსებ ჭავჭავაძე და დეკანოზი ელიმარე (?) პირველი ამათგანი დამნაშავედ ითვლებოდა იმაში, რომ კახეთში აღმაშფოთებელ წერილებს და ხელ-მოსაწერ წერილებს, მეფის ტახტზედ ასაყვანად, გზავნიდა.

მეორე დღეს ლაზარევმა ამისგანვე მოხსენება მიიღო, რომ იმათი თანამოაზრენიც დატუსაღებულნი არიანო. სომეხი ნაზარე და აგრეთვე უჯარმაში მცხოვრებნი თ. გიორგი და ბატა ჭავჭავაძეები არა სჩანს სად გაიპარნენო.

27-ს ამ თვეს გულიაკოვმა ლაზარევს მოახსენა: „კახეთში თავად-აზნაურობა ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს განათავისუფლოს დატუსაღებული თავადები და აზნაურებიო.

„თავად-აზნაურობა დას-დასებად გაიყო და თვითოეული იმათგანი დღითი ტყეში იფარავს თავსო, ღამით კი სოფლებში ჩამოდიანო“. გულიაკოვი ჰკითხავს ლაზარევს: — დაატუსაღო თუ არა ის პირნი, რომელნიც ბოროტ-განზრახვაში შენიშნულნი იქნებიან? ლაზარევმა უპასუხა დატუსაღება.

ამ დროს ლაზარევთან გამოცხადდა ლუარსაბ ორბელიანი, რომელიც კახეთის თავადების შეკრებილებაში ბრძანდებოდა, მიუტანა მას წერილი, რომლის შინაარსიდამ კახეთის თავად-აზნაურობის აჯანყება ნათლად ჩნდა და რუსეთის წინააღმდეგობა. საქართველოს მმართველმა, სხვათა შორის, შეატყობინა ლენ. ლაზარევს, რომ სოფლის გურჯაანის მცხოვრებლებს რუსეთის ქვეშევრდომობა არ სურსთ და ტახტზედ ასაყვანად ქართველ მეფეს თხოულობენო. ლუარსაბ ორბელიანმა ეგრეთვე ლაზარევს აცნობა, ვითომც მეამბოხეებმა ვახტანგ-ბატონიშვილს წერილი მისწერეს, რომელშიაც ეხვეწებოდნენ, რომ რუსის ჯარები საქართველოში არ შემოსულიყვნენ, ამასთანავე მდინარე იორგზე ხიდები დაამტვრიონ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს და სხვა, ერთი სიტყვით, იმას ყველა საშუალება და ღონის-ძიება უნდა მოეპოვა, რომ საქართველომ ყოველივე დამოკიდებულობა შესწყვიტოს რუსეთთან და სხვ.....

ტფილისიდამ მხედართ-მთავრის წაბრძანების შემდეგ, საზოგადოდ საქართველოში სამსჯავროები და სხვა-და-სხვა მმართებლობის კანცელარიები ათას ნაირ სხვა-და-სხვა ბრძანებას იღებდენ. ვახტანგ-ბატონიშვილი რუსეთიდამ საქართველოში არავის არ უშვებდა და არც საქართველოდამ რუსეთში წასვლა არავის არ შეეძლო.

ლაზარევმა, შეიტყო თუ არა ამისთანა მდგომარეობა, მაშინვე რჩევა მიიწვია. რჩევაზე მიწვეულნი იყვნენ მხედართ-მთავარი (შეფი)—ტუჩკოვი, საქართველოს მმართველი გრაფ მუსინ პუშკინი და რამოდენიმე ქართველ თავადთაგანი რუსეთის კეთილმოსურნენი და მიკედლებულნი: ორბელიანები, თარხნიშვილები და მაყაშვილები. რჩევას არაფერი არ გადუწყვეტია.

მხედართ-მთავრისაგან გამოგზავნილი შიკრიკი მოვიდა და მოიტანა განკარგულება, რომ ყველაფერი საშუალება იხმარონ აჯანყების მოსასპობლად.

იმავე დროს ლაზარევს ერთი პოლკოვნიკისაგან მოხსენება მოუვიდა, რომელშიაც იწერებოდა, რომ როდესაც იმან კახეთში თავად-აზნაურობის ბოროტ-განმზრახველთ შეკრებილება გაიგო, მაშინვე იმ შეკრებილების დასარღვევად მიაშურა. მაგრამ მიუახლოვდა თუ არა, იმათ მუქარა დაუწყეს: „—თუ მოხვედით და არ გაგვეცალენით, თოფს გესვრითო“ და სხვ.

ლაზარევი ერთი ბატალიონის ჯარით წავიდა კახეთში*) იმ მიზნით, რომ, თუ ქართველებზედ მისმა პოლიტიკამ, მოფერებამ და ალერსმა არაფერი გავლენა იქონია, იმ შემთხვევაში ხალხის დასამშვიდებლად იარაღს იხმარს.

ლ. ფრიდონიან-და-გოჩა.

ქ. ქუთაისი, 17 თებერვალს.

(შემდეგი იქნება).

---

*) კახეთს რუსების უფროსები მეამბოხეთა ანუ შეთქმულთა ბუდედ სთვლიდენ; იმათი აზრით, აჯანყების ბუდეთი და მაედანი კახეთს ეჭირა.

ეის ზალაში დასადგმელად.—და ბოლოს რჩევამ უარ-ჰყო ხმოს. ზუბალოვის წინადადება, რომ იმის შეურაცყოფისათვის პასუხის-გებაში მიეცეს ხმოს. ამიროვი.

* *

„თერგის უწყებებში" იწერებიან, რომ ოსეთის ხალხის წარმომადგენელთ ამ მოკლე ხანში კრება ექნებათ, რომელზედაც სხვა-და-სხვა მავნებელ ჩვეულებათა მოსპობაზედ უნდა მოილაპარაკონ და საერთოდ გადაწყვიტონო, რომ ეს ჩვეულებანი იმათში მოსპობილი იქნესო.

## წერილი რედაქტორთან.

თქვენი გაზეთის 28 ნომერში არის რამდენიმე სიტყვა ზ. ბ—ძისა შესახებ რწმუნებულ ჩემდამო შემოქმედის სასოფლო სკოლისა. მე არ შევეხები იმ წერილში მოყვანილ მუხლებს, რომელიც ეხება ბ. მაზრის უფროსს; მხოლოდ ვიტყვი იმაზე, რაც ეხება ჩემს პირადობას და რომლითაც მამხილებს, ვითომც კვირაში ორს ანუ სამს დღეს შევდიოდე სკოლაში და იმასაც ორს ანუ ორ ნახევარ საათს, რადგან, მისი სიტყვით, მე ვარ გართული სხვა-და-სხვა კერძო საქმეებში სამსჯავროებში საქმეების დაცვისაგან და სხვა-და-სხვა. ეს სიტყვები რომ სიცრუით არის დაწერილი ჩემზე, ერთის გავლენიანი პირის თხოვნით, ეს მრთელმა ჩვენმა საზოგადოებამ იცის; იციან იმათაც, ვისაც ამ ღარიბ სკოლაში (მატერიალურის მხრით) შამოსვლა და გაკვეთილების დროს ყურება არ დაუზარებიათ. ბევრმა ეს გარემოება არ იცის, და ამიტომ გთხოვთ ამ პასუხს ადგილი მისცეთ. მინდა ვთქვა—საქმე საიდამ იწყება.

როცა მე ახალი ჩამოსული ვიყავი აქ, იმ დროებში ვიღამაც აქაურს მებატონეს თ. დ. გ—ლს დაუწერა „დროებაში" შენიშვნა, რომლიდგანაც ცხადად სჩანდა მისი უწესო მოქმედება დროებით ვალდებულ გლეხებთან. ამ სტატიების დაწერა მე შემომწამეს. ამაზედ ჩაიდო შური ჩემზე თ. დ. გ—ლმა—თუ როგორ გავბედე მე ამ გვარი საქმე და დიდი ხნით მიქადდა, რომ საჭმელს პურს დაგიკარგავ, ჩემს მამულში არ გაგატარებო და სხვ. და სხვ. ამ განზრახვით ამას წინად დაიბარა ორი მისი ვალდებული ყმები, მისცა მათ წინ-დაწინ დამზადებული ჩემზე საჩივარი, მგონი დირექტორის სახელზედ და თან უბრძანა, რომ ა. ც—ძე ნუ არის მასწავლებლად ჩემს მამულში(!?), წაიღეთ ეს არზა, მოაწერინეთ მცხოვრებლებს ხელი, ა. ც—ს გადააყენებენ მასწავლებლისაგანაო და თავისუფალი იქნებით კლასის ფულის გადასახადისაგანაო". ამათ წამოიღეს, იწყეს სოფელ-სოფელ სიარული, მაგრამ ჯერაც არ შეუსრულებიათ, რადგან ცხად ცრუ საჩივარზე ხელის მომწერი ცოტა აღმოჩნდა. ამ საქმეზე იმ ორი პირის შესახებ არის საქმე დაწყებული პოლიციის პრისტავთან.

და ეს ზ. ბ—მეც იმათ დასს ეკუთვნის. იმას ჩემ სასწავლებელში ერთიც არ შამოუხედავს სწავლის დროს, არამც თუ დაწვრილებით იცოდეს ყოველი გარემოება სკოლისა.

1878 წელში მამაჩემს უჩიოდა ადგილს ერთი ჩვენი მეზობელთაგანი და მხოლოდ იმ საქმის დამცველად მამაჩემის მხრით ვიყავი; მაგრამ იმ დროებში ომიანობის მიზეზით დაკეტილ სკოლაში სწავლა არ იყო, რაც ჯამაგირი მენიშნებოდა. ზარდა ამისა მსაჯულს მოწმეთაც არ დაუბარებივარ.

რაც შეეხება იმას რომ მე ვარ სასულიერო პირთაგანი და ვინიშნები პრიჩელნიკად ეს ნამდვილია; მაგრამ ეს გარემოება, არა თუ მაბრკოლებს, როგორც მასწავლებელს, არამედ უფრო მაძლევს შემთხვევას, რომ ყოველ შაბათობით მწუხრზე და კვირაუქმეებზე შევკრიბო ყმაწვილები მახლობელ ეკკლესიაზედ, მოვასმენინო წესიერად ლოცვები და საღმრთო ლიტურღია, აგრეთვე ვიგალობოთ ერთად ყმაწვილებთან ქართულად და რუსულად საეკკლესიო გალობანი. ამასთანავე, მღვდლის ნება-რთვით, როგორც ყმაწვილებს აგრეთვე მცხოვრებლებს მდაბიურის ენით და გარკვევით აუხსნა დღის სახარების სიტყვები და ანუ რიგიანის წაკითხვით მოვასმენიო ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ქადაგება. ამით მე არ ვაკლდები მომავალ დღისათვის მეცადინეობას.

მე რომ ვსთქვა: ჩემ სკოლაში ძლიერ კარგად მიდის სწავლის საქმემეთქი, არ არის რიგი; მაგრამ, რადგან მიზეზი მომეცა ვიტყვი: წასრულს 1881 წლის იანვრის თვეში შემთხვევით მობრძანდა ჩვენს საზოგადოებაში ბ. ქუთაისის ღუბერნატორი, რომელმანც ინება სასწავლებელში შამობრძანება, თვითოეულად განიხილა სამივე განყოფილებაში მოსწავლე ყმაწვილები ყოველ საგნებში, დიდი მადლობა მითხრა და შემდეგ მზრუნველებს სკოლისა მისცა წინადადება კლასის ოთახის გადაკეთების შესახებ.

მარტის თვეში იმავე წლისა ინახულა ეს სასწავლებელი ბ. ოზურგეთის მაზრის უფროსმა, დიდის სიამოვნებით მოისმინა კლასში მასწავლებლის გადაცემა და ყმაწვილების სამი სახალხო სიმღერები ქართულ და რუსულ ენებზე.

ივნისში იმავე წლისა ქუთ. გუბ. სკოლების დირექტორმა პრლოვმა მოახდინა რევიზია ჩემ სკოლაში და რევიზიის შემდეგ პირისპირ მადლობა გვიძღვნა. ეგზამენის შემდეგ ექსმა ყმაწვილმა შეასრულა კურსი სასწავლისა, ამათში ხუთი ამ ჟამად ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობს და ერთი, სიღარიბის მიზეზით, ვაჭარს მიაბარა მამამ.

ოკდომბერში ამავე წლისა მოახდინა რევიზია ბ. ინსპეკტორმა ქუთ. გუბერნიის სკოლებისამ ქორქაშვილმა და დიდი კმაყოფილება გამოაცხადა.

შემოქმედის სასოფლო სკოლის მასწავლებელი.

ანტონ ცეცხლაძე.

# რუსეთი

(გაზეთებიდან)

ამ თვის გასულს 19-ს რიცხვს შესრულდა სწორედ 21 წელი მასუკან, რაც მიცვალებულ იმპერატორ ალექსანდრე II-ემ გამოსცა მანიფესტი გლეხების განთავისუფლებისა, ბატონყმობის მოსპობისა. ამ დღემ, მთელი რუსეთის იმპერიისათვის ნეტარ სამახსოვრო დღემ, რუსეთის გაზეთებისაგან შეუნიშნავად არ ჩაიარა. გაზ. „გოლოს"-ს მიუღია ამ დღეს წინ სამი გლეხისაგან შემდეგი დეპეშა:

„ხვალ—19 თებერვალია, მძიმე და საუკუნოების მონობიდამ განთავისუფლების დღე გლეხისა. სასურველია, რომ ამ დღეს იდღესასწაულებდეს მთელი რუსეთის ერი".

—

ღერბის ქაღალდის ფასის აწევაზედ უკვე იყო მმართებლობის განკარგულება გამოცხადებული. ამ ჟამად ფინანსთა სამინისტროში მოლაპარაკება არის ღერბის მარკების ფასის აწევაზედაც. ეს საქმე თითქმის გარდაწყვეტილია, ეხლა მხოლოდ არის სჯა იმაზედ—თუ რა ფასები დაუდვან ამ მარკებზე.

—

პეტერბურღში მცხოვრებნი ბოლგარიელები აფუძნებენ ერთგვარ სააგენტოს, საიდამაც ნამდვილ ცნობებს გარდასცემენ ბოლგარიის გაზეთებში რუსეთის მიმდინარე ცხოვრებაზედ. ამას გარდა ამათვე ჰსურთ გამოსცენ სპეციალურად ბოლგარიისათვის დანიშნული გაზეთი ფრანცუზულ და ბოლგარიულ ენებზედ სახელად: „რუსეთ-ბოლგარიის კავშირი".

—

ამ წელს შეუსრულდება ასი წელი პირველ სამასწავლებლო სემინარიას, რომელიც დაარსდა პეტერბურღში.

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**საფრანგეთი.** მინისტრთა რჩევამ გარდაწყვიტა 1849 წელს გამოცემულის წესის შეცვლა. ყოველი უცხოელი, რომელიც კი ჰყოფილა დასჯილი, დაუყოვნებლივ განიდევნოს საფრანგეთიდამო; უდანაშაულო უცხოელის განდევნის საქმე-კი მინისტრების რჩევას უნდა გარდაეცეს განსასჯელად.

— გამბეტას გაზეთები ჰკიცხავენ ფრეისინეს, რომ მან გადაწყვეტილად ვერაფერი წარმოსთქვა ეგვიპტეს საქმეების შესახებ და ან იმის შესახებ, რა ზომებს მიიღებს ის, თუ, ვინიცობაა, ეგვიპტეს საქმეები უფრო ცუდად წავიდაო.

— პარიჟში გარდაიცვალა ამ დღეებში ერთი ქალი, მარი ფერრე, რომლის ძმა თეოფილ ფერრე დახვრიტა მმართებლობამ კომმუნაში მონაწილეობისათვის. ამ ქალის გასვენებაზედ გამოჩენილმა ლუიზა მიშელმა წარმოსთქვა სიტყვა „კომუნას ხელ-ახლავე ღირსეულზედ". რომ შოფერს უარი უთქვამს მიცვალებულის სასაფლაომდი მიცილებაზედ.

— ოცდა ექვს თებერვალს გამოჩენილ საფრანგეთის მწერალს ვიქტორ ჰიუგოს შეუსრულდა ოთხმოცი წელი. დიდის ამბით გარდიხადეს ეს დღესასწაული პარიჟში და საზოგადოდ მთელს საფრანგეთში. რესპუბლიკის პრეზიდენტი სწვევია ამ დღეს ვიქტორ ჰიუგოს და მიულოცნია დღეობა

—

**ბოლგარია.** ვენიდამ იწერებიან ინგლისურ გაზ.: *Times*-ში: რუსეთიდამ და სხვა სლავიანების მიწებიდამ მომავალ თავისუფალ მეომართა რიცხვი თან-და-თან მატულობს. ამ ცოტა-ხანში 100 კაცი ჩამოვიდა ქ. ვარნაში ოდესიდამ. მაკედონიაშიც გროვდება ჯარი, რომელიც აჯანყებულ ჰერცოგოვინელებს უნდა შეუერთდეს.

—

**ბოსნია.** პეშტის გაზეთში მოყვანილია წერილი ერთი წარჩინებულის ბოსნელისა ვენგრიის ხალხის მიმართ, რომელშიაც ვამოცხადებულია, რომ ნუ ავიწროებთ ბოსნიას, ნუ ისურვებთ მის თავისუფლების მოსპობას. თუნდა ბოსნიელები კიდეც დამარცხდნენ ეხლა, თავის დღეში არ მოიშლიან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ვენგრიასაც ისეთი სიფრთხილე მართებს ავსტრიის მხრით, როგორც დანარჩენ სახელმწიფოთათო.

—

**გერმანია.** ფრანცუზულ გაზეთს „*France*"-ს ტელეგრამმით აცნობებენ ბერლინიდამ: „პოლიცია გაცხარებით დადის სახლიდამ სახლში და უცხადებს ყველა იმ პირთ, ყმაწვილ-კაცებს, რომელთაც სამსახურის ვადა არ შეუსრულებიათ, დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ ჯარის უფროსებთან. ალბად, რაც ბერლინში ხდება ამ შემთხვევაში, მთელს იმპერიაშიაც ის უნდა ხდებოდეს. ერთს პოლიციის აგენტს ჰკითხეს: „—ომი ხომ არ იქნებაო?" „—სამწუხარო იმედებია მომავალზეო!" მიუგო პოლიციის აგენტმა.

—

**ინგლისი.** ინგლისის კოროლევას, ვიქტორიას, ყოველის მხრიდამ მოსდისო მილოცვის დეპეშები, რომ მშვიდობიანად გარდაჩენილა. იმის მოკვლის განმზრახველს, რომელიც როგორც ვიცით, ჰკუიდამ შემცდარად იცნეს, ერთით რომ ვერ მიუღწევია თავის მიზნისთვის და ნიშანში ვერ ამოუღია, ხელ-მეორედ ნდომია დამაჩის სროლა, მაგრამ გაბრაზებული ხალხი მივარდნია, შეუყენებია და, რომ პოლიცია არა, აქვე მოკლას უპირებდნენო.

# განცხადებანი


ბოსტნეულების და ყვავილების

## თესლები

ვაგნერისაგან, ისყიდება თეოდორ ფუნკის მაღაზიაში, სოლოლაკის ქუჩ., მირზოევის სახ., № 6, თფილისში. კატალოგი და პრეის-კურანტი უფასოდ იგზავნება. (3—1)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შირო გებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშნივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭვანის სიგარები. (100—78)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პაროესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—68)

**ისყიდება** ორი ცხენი ახალ-თეკეს ჯინშისა „უარა-ბაირი“, ერთი ფაშატი და მეორე ულაყი. ცხენების ნახვა და ფასის შეტყობა შეიძლება სადოვის ქუჩაზე, ბრიგოლ მელიქოვის სახლში, № 43. (5—3)

ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

## ჭყონია

მიიღებს ყველა სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ქუთაისში, სილაზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—5)

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—89)


## ანგარიში
### საბუე-ენისლის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა

1881 წლის.

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 3,385—91 | გასესხებული — — | 5,886—80 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 2,974—41 | დანაშთენი: | |
| სათადარიგო თანხა — | 201—58 | ნაღდ ფულად — — | 653—25 |
| მოგება— — — — | 78—15 | ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი | 100— „ |
| სულ | 6,640— 5 | სულ | 6,640— 5 |

1880 წლის:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 473 11 | წილის ფული — — | 356—93 |
| სარგებელი, გამორთმეული სესხობის ანუ მეორე ვადის მიცემის დროს — — — | 810—35 | 1880 წლის მოგებიდგან წილებზედ მიცემული— | 11— „ |
| ჯარიმა — — — | 132—65 | გასესხებული — — | 6,347— „ |
| დაბრუნებული სესხები— | 5,120—80 | სარგებელი მიცემული ვადაზედ წინ დაბრუნებულის სესხისა— — | 1—14 |
| სათადარიგო თანხა — | 18—41 | სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 84—40 |
| | | სამმართველოზედ — — | 19—55 |
| | | ალებ-მიცემისა — — | 55—15 |
| სულ | 6,555—32 | სულ | 6,875—17 |

1-ს იანვრისათვის 1882 წლისა არის

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 3,502— 9 | გასესხებული — — | 7,113— „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 2,890— 1 | დანაშთენი: | |
| სათადარიგო თანხა — | 219—99 | ნაღდ ფულად — — | 333—40 |
| მოგება— — — — | 934—31 | თფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი | 100— „ |
| სულ | 7,546—40 | სულ | 7,546—40 |

გამოყვანა მოგებისა ანუ ზიანისა 1881 წლისა

1-ს იანვარსა 1881 წლისა იყო:

| | | | |
|---|---|---|---|
| მოგება— — — — | 78—15 | ზარალი — — — | „— „ |

1881 წელში:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| სარგებელი გამორთმეული გასესხების ანუ მეორე ვადის მიცემის დროს | 810—35 | წმინდა მოგებიდგან 1880 წ. | |
| ჯარიმა — — — | 132—65 | ა) წილის ფულზედ მითვლილი — — — | 47—74 |
| | | ბ) სათადარიგო თანხაზედ | 18—41 |
| | | სარგებელი ვადაზედ წინ დაბრუნებულის სესხებისა | 1—14 |
| | | სამმართველოს ხარჯი — | 19—55 |
| სულ. | 943— „ | სულ | 86—84 |

1-ს იანვარს 1882 წელს არის:

| | |
|---|---|
| მოგება— — — — | 934—31 |

საზოგადო ყრილობის გარდაწყვეტილებით 17 იანვარს 1882 წელსა, 1881 წლის მოგება მიეთვალა:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| სარგებელი მისაცემი სასარგებლოდ შემოტანილის ფულებისა | 114—10 |
| სათადარიგო თანხას — — — — — — — — | 80—80 |
| მოგება წილზედ 1881-ს წლისა — — — — — — | 541—76 |
| სამმართველოს ჯილდოდ — — — — — — — | 150— „ |
| ს.-პეტერბურღის კომიტეტის განყოფილების სასარგებლოდ — | 7— „ |
| სარგებელი მიუცემელი 1880 წლისა — — — — — | 12— „ |
| შესადგენად თანხისა განსვენებულის თ. ა. ილ. ვასილჩიკოვის სახელობაზედ — — — — — — — — — | 8— „ |
| ენისლის სკოლის სასარგებლოდ — — — — — — | 20—65 |
| სულ | 934—31 |

თავსმჯდომარე რჩევისა თ. გიორგი დავითის-ძე ჯორჯაძე.

წევრნი რჩევისა: ივანე დათიაშვილი, ნინიკო მჭედლისშვილი, ლაზარე ნერსესაშვილი, სვიმონ ხეჩიაშვილი და ლევან ხატიაშვილი.

წევრნი გამგეობისა: ნიკო ხატიაშვილი, ნიკო კონჭოშვილი, ფრიდონ ველიაშვილი.

(3—3)


## ისყიდება

25% ნაკლებ ... ფასად

ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, ... რაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქ... ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდო... ბი, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლი... ები, სამურკლი, ტანისამოსის საკ... კოვზები, დანები, კალმები, ქაღალ... კანვერტები, რგუულები, კარანდაშ... თოფები, რევოლვერები, კრაგები, ... ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, ... ონკა, უნაგირები, ლაგმები, უთო... ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახო... ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხ... შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ... ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი ... ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ... დათ: ფუთობით 40, 46, 52 და ... მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. ... კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. ... კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხ... 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბო... (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრ... კიდამ—120 მან. რევოლვერები 4—... მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ... უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის ... ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-... დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფ... ტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თო... ბისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—87)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (... ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანი... სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვეშო...) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადო... გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.


## ტაქსის

აკვეთაკ ხორაგეულებათა, რომელ... იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დატარებით 16 თებერვლი... 1 მარტამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ...

| | |
|---|---|
| პირველის ხარისხის—1 გირ. | 5... |
| მეორის „ —1 გირ. | 3... |
| მესამის „ —1 გირ. | ... |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვ...

| | |
|---|---|
| პირველის ხარისხის—1 გირ. | 6... |
| მეორის „ —1 გირ. | 4... |

ჯვარის-მამის პური:

| | |
|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. | 7... |
| მეორის „ „ —1 გირ. | 5... |
| მესამის „ „ —1 გირ. | 4... |

ძროხის ხორცი:

| | |
|---|---|
| პირველის ხარისხის —1 გირ. | 11... |
| მეორის „ —1 გირ. | 9... |
| სუკი — — —1 გირ. | 16... |
| ცხვრის ხორცი 1 გირ. | 12... |

ღორის ხორცი:

| | |
|---|---|
| პირველი ხარისხის —1 გირ. | — |
| მეორის „ —1 გირ. | — |

*Дозволено цензурою. Тифлисъ*, 25 *Февраля 1882 г.* *Типографія Мелкова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მე...